# ივერია

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ. დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ივერია“

გამოვა 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

ტფილისის საგუბერნიო სამკურნალოს მმართველობას აცნობა საგუბერნიო მკურნალის თანაშემწემ, ექიმმა მაჰავარიანმა, რომ მიხეილის ქუჩაზედ, იმ სახლში, სადაც ტფილისის მე-10-ე ნაწილის პოლიციის მმართველობა იმყოფება, ქვემო სართულში, 6 დეკემბერს აღმოჩნდა ერთი ავადმყოფი, ეგიაზაროვის ქარხნის მუშა ტალახაძე, რომელიც ხოლერის ნიშნებით არის ავადაო.

## ახალი ამბავი

** გუშინ-წინ, 7 დეკემბერს, საღამოს მატარებლით დაბრუნდა აბასთუმნიდგან ტფილისს კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი.

** 6 დეკემბერს ტფილისიდგან გაემგზავრა პეტერბურგს მკურნალთა კრებაზედ დასასწრებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი მკურნალი ბ-ნი სახაროვი.

** სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით, ქ. ტფილისს ამ მოკლე ხანში დაარსდება განსაკუთრებული კომისია თავმჯდომარეობით ბ-ნ მედვედიევისა, რომელმაც უნდა განიხილოს, როგორ განაკარგონ სახაზინო გლეხების მდგომარეობა. სახაზინო გლეხები ორის ჯურისანი არიან: ერთნი სცხოვრობენ სახელმწიფო მამულებზედ და მეორენი —კერძო მებატონეთა მამულებზედ. ამათ თავის დროზედ საკმარისი მამული მიეცათ, მაგრამ ეხლა მთავრობას კიდევ საჭიროდ უცვნია, ხელახლა განიხილოს ეს საგანი. რაღა თქმა უნდა, ასეთი განზრახვა მთავრობისა დიდად სასიამოვნოა და სასარგებლო ჩვენის მხნელ-მთესველისათვის, მაგრამ აქვე არ შეგვიძლიან არ გამოვაცხადოთ ჩვენი მწუხარება, რომ კომისია არ განიხილავს დროებით-ვალდებულ გლეხთა მდგომარეობას. მამული ამათ უფრო ნაკლები აქვთ, ვიდრე სახაზინო გლეხებს. რაკი თავისუფალი მამულები სახაზინო გლეხებს დაურიგდებათ ეხლა, შემდეგში მთავრობა, ბევრიც რომ მოისურვოს, ვეღარას უშველის საქმეს. სწორედ ეს მოსაზრება ჰქონდა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს სახეში და თავისი აზრი კიდეც შეატყობინა უმაღლეს მთავრობას, რომ სახაზინო გლეხებთან ერთად დროებით-ვალდებულ გლეხების მდგომარეობაც განიხილო. როგორც შევიტყეთ, უმაღლესმა მთავრობამ აცნობა ბ-ნს გუბერნატორს, რომ ბ-ნ მინისტრისაგან კომისიას აქვს დავალებული მარტო სახაზინო გლეხების მდგომარეობის განხილვაო.

** მკურნალის ტერ-ასატუროვის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ტფილისში ამ დღეებში ხუნაგით ავად გამხდარა: 5 ნაწილში, აბას-აბადის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის სახლში — მოსე არღუთინსკი, 16 წლისა და ხარფუხში, შახნაზაროვის სახლში— 4 წლის ყმაწვილი, არშაკ შახნაზაროვი, რომელიც უკვე გარდაიცვალა. მკურნალის ტერ-ასატუროვის აზრით, საჭიროა ამ სახლის ყველა მდგმურები სახლიდგან სხვაგან გადავიდნენ, ხოლო ოთახები, ავეჯეულობა და სხვა ნივთები სადეზინფექციო წამლებით აპკურონ.

** სოფ. ორტევი, (გორის მაზრა): ნოემბრის 20 დიმიტრი გასეშვილმა დასჭრა პირში რევოლვერით თავისივე სახლიკაცი. ტყვია კბილებში მოხვედრია და ოთხი კბილი აქვს ჩამტვრეული. სიკვდილს-კი, ვგონებთ, გადურჩება.

ამ ორის თვის განმავლობაში სამი ქურდობა მოხდა აქ. მოჰპარეს მალხაზ ჩაჩიშვილს საქონელი, რომელიც ბ-ნმა ცხინვალის ბოქაულმა კიდეც აღმოაჩინა. ამავე დროს მოჰპარეს კაბულაშვილს ერთი კამეჩი. შემდეგ მოჰპარეს ერთს გლეხს ათი ღორი. ქურდებისათვის უკვე მიუგნიათ. ისინი კვლავაც თურმე ყოფილან შემჩნეულნი ქორდობაში და ციხეშიაც ბძანებულან ამის გამო. ისინი ჩვენის სოფლის მკვიდრნივე არიან.

** სამეგრელო: ბევრნაირ ამბავს მოვსწრებივარ, ბატონოვო, მიამბობდა ამას წინად ერთი ღრმად მოხუცებული მეგრელი, მაგრამ ამისთანა დრო-კი არ მინახავსო. აღარ არის ჩვენსკენ გატანა ადამიანისა, მეზობლობა, ნამუსი. უღელი ხარი მყავდა და მომპარეს. დავრჩი სრულიად უნუგეშოდ. ვნახოთ, მოვიდა მთხრობელი

---

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს,

ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან არტისტის კ. დ. ყიფიანის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება

I

## და-ძმა

დრამა 5 მოქმედ. მეგრელთ წარსულ ცხოვრებიდგან ვ. გუნიასი.

თავ. ოტია ჯოლიას როლს შეასრულებს კ. ყიფიანი

II

**არც აქეთ, არც იქით!..**

ვოდევილი ხუმრობა 1 მოქმედ. ვ. გ--იასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აველიშვილისა, ტარიელოვისა, ჩერქეზიშვილისა, ბ-ნნი: ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, გუნია და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

---

ამ ცოტა ხანში დანიშნულია

**ვალერიან გუნიას ბენეფისი**

მზადდება წარმოსადგენად. „მოღალატე“, ისტორიული დრამა 5 მოქმედ. „ჩვენი დროის ქალები“, კომედია 3 მოქმედ., „სულით ლატაკნი“, დრამა 5 მოქმედ. და სხვა.

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

---

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

თხზულება **თ. გიორგი ერისთავისა**, ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.

ფასი 1 მან. 60 კაპ.

და

ახალი წიგნი

მოლა მასრადინას ამბები.

ფასი 25 კაპ.

(3—1)

---

# ფელეტონი

## ისარი

გამიქვავდეს მე ეს ენა,
თუ მე ვისმე მივეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო.

აკაკი

იმაზედ სასიამოვნო რა იქნება მწერალისათვის, როცა იმისი კალამი გასჭრის და სასიკეთო ნაყოფს მოიტანს. მერე ასპარეზზედ ახლად გამოსულს მწერალს ხომ სულ ფრთებს შეასხავს პირველი ნაბიჯი გამარჯვებისა. ჩემი „ისრის“ პირველი ნომერი რომ გამოვიდა, გულის ცემით ვუგდებდი ყურსა, თუ რას იზამდა. მოგეცათ ღვთის წყალობა, „ისარმა“ ბევრს სუსხი დააყენა; ხშირ-ხშირად უნდა მათრახები, თორემ ერთობ გაგვსქელებია კანი და ვეღარ ატანს რბილამდის.

ახლა, ჩემო ნათლია, კანი რომ მაგარი გვაქვს, იმიტომ ხმა აღარ უნდა ამოვიღოთ! დიაღაც, მაშინ უფრო უნდა ხმის ამოღება და „შხამიანი ბაასი“. მწერლობის დანიშნულება, სხვათა შორის, ის არის, რომ საზოგადოება აფხიზლოს, უსამართლობა სდევნოს და სიმართლეს გზა გაუკაფოს. მართალია, ხშირად მწერლობას კრიჭას აუკვრენ ხოლმე, მაგრამ რა გაეწყობა; აქაც ადამიანის ჭკუა ხერხს პოულობს; ადამიანის აზრი ისეთი რამ არის, რომ ჰახრაკებით ვერ დაიჭირება; როცა საჭახრაკეთ მივა ხოლმე საქმე, მაშინ ღობევმძრალავობთ, თუ შეიძლება ასევსთქვათ, გავძვრებ-გამოძვრებით და მაინც და მაინც ჭეშმარიტებას გავაცოცხებთ ხოლმე ხალხში. ეხლა სადღაა ისეთი კაცი ჩვენში, რომ ჭეშმარიტებით აღიჭურვოს და იგი სიტყვა, „მღელავი ვით ზღვა“, მაღლა სთქვას. ჰმ! ძალიან ვაჟკაცობაა!!. მაგრამ თუ კაცს კალმისნობა უკისრნია, უნდა კიდეც წმინდად ემსახუროს, თვის ენას და მარჯვენას მართალი ალაპარაკოს, აწერინოს. ჩემი გაზეთი ამ გზას არ გადაუხვევს—არა თუ ჩემი გაზეთი, არც სხვა, რომელსაც-კი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის გული შესტკივა და მარად იმის ფიქრშია, რომ დავრდომილ მოყვასთ მოეხმაროს, ციურის სიტყვებით და სწავლით გული გაუნათლოს და სიკეთისათვის აუტოკოს. კაცი სასოწარკვეთილებას არ უნდა მიეცეს იმიტომ, რომ გარს გიუვალი ყორე არტყია, ჩინეთის კედლებზედ უმტკიცესი. აი კიდეც აქ არ უნდა შედრკე, აი კიდეც აქ უნდა ხელის შემართვა, რომ ყორე თავზედ არ გადმოგვექცეს და საუკუნოდ ქვეშ არ მოგვიტანოს. მართალია, მწერალს ხანდისხან ისეთი უბედური გარემოებანი შემოერტყმიან ხოლმე გარს, რომ სასოს წარუკვეთს ხოლმე, დაალონებს თავის მომავალს ბედზედ, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ იმედი მოვიკლათ, სასოება წარვიკვეთოთ... დეე, რაც მოსასვლელია, მოვიდეს... შიშს მე არ გავექცევი; ვინ რას დამაკლებს? მართალის იობისა არ იყოს, შიშველი მოვსულვარ და შიშველივე წავალ. რაო, სიცოცხლეს წამართმევენ? ფეშქაშ! მიირთვან; მე თვით მომწყენია ჩემი თავი. სიცოცხლეს მომიწამლამენ და წვეთწვეთად გამომსრუტიან სიცოცხლის მსაზრდოებელს ნექტარსა? ამაზედ მეტად ვილა მომწამლავს და სიცოცხლეს გამომწოვს! არა! მე იმათ, იმ ჩემს მომშხამვლელებს, უკან არ ჩამოურჩები! მე იმათ უფრო მეტად მოვშხამავ! გაიგონ, რომ ჩვენც კაცნი გვქვიან და ქუდი გვხურავს.. თუ დღეს ვერ გასჭრის „შხამიანი ბაასი“, ხვალ, ზეგ, მაზეგ ხომ გასჭრის; დეე, ნელ-ნელა შხამო და გაუჯდეს გვერდებში; ნელ-ნელა დაჭკნდება მავნებელი სხეული და ფუყე ხესავით გადაიქცევა.

—

## უცნაური სიზმარი

(ფელეტონი „ისრისა“)

დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა! რას არა ჰნახავს ადამიანი სიზმარში! რაღაც ეშმაკად წუხელის თ. ვახტანგ ორბელიანის „სიზმრები“ წავიკითხე. მაინც მე ძრიელ მიყვარს ამ ლექსის კითხვა; დამეძინა; ძილშიც ვიმეორებდი ამ ადგილს:

„ვნახე სიზმარი: ალვსულვიყავ
მას მთას წმინდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი
ღვთის დიდებასა.
ჩვენი სამშობლო, ჩვენი მამა,
ჩვენი ივერი,
მაგრამ ივერი უსულდგმულო,
ივერი მკვდარი
გარდაშლილიყო ზღვის კიდემდინ
ჩემ თვალთა წინა“.

სწორედ ამ ადგილას რო ჩაველი და შევფერხდი, გამომეცხადა ვიღაც კაცი, რომელიც ფასკუნჯზედ იჯდა.

— რას მომცემ, რომ არა თუ მთაწმინდაზედ აგიყვანო, ზედ მარიხზედ მოგაქციოვო.

მე, სწორედ გითხრა, შიშის ზარმა ამიტანა და თმა სულ ყალყს შემიდგა. შენ არ მომიკვდე, ამ კაცმა არც აცივა, არც აცხელა, შემაგდო ფასკუნჯზედ და დაუწრუწუნა... და— ჰერი ბიჭო!—გაფრინდა და რა გაფრინდა, რო როგორც ელვა. ვაიმე ცოლო და შვილო დაკარგულო, ვაიმე ტკბილო სამშობლოვ და საგაზდილოვ-მეთქი! მოვრთე ტირილი; უცნობმა კაცმა დამაიმედა, რომ ისევ მალე დაგაბრუნებო. პატარა ხანს შემდეგ, ვნახოთ ზედ მარიხზედ-კი მამადენინა ტყაპანი. ღმერთო! რა ქვეყანაა, რა ამბავია, რა ყოფა! სდუღს და გადმოდის! აბა, იესო ქრისტეს თვისი უბე და კალთა მოწყალებისა აქ დაუბერტყნია-მეთქი, ვიფიქრე. გონება, მიუწვდენელი თავისუფლება, გასაოცარი ზნეობის სიწმინდე და ანგელოზური ცხოვრება!!. ბევრი ვუსაყვედურე უცნობს: „შე ულმერთო, რატო ჩემი ცოლ-შვილი აქ არ წამომაყვავინე-მეთქი“.—არა, ძმავო, მიპასუხა იმან, შენ მხოლოდ გაჩვენებ აქაურობას, აქედამ კეთილს თესლს გაგატანო და შენ ქვეყანაში დასთესე, იქნება იხეიროსო. შენ აქ დიდხანს არ დაგაყენებთ; ისეთს ქვეყნიდამა ხარ მოსული, რომ მეშინიან, არა გადმოგვდო-რაო. ჩვენ აქ ყველა ქვეყნის ამბები ვიცით და ჩვენიკი არავინაო. ძალიან გვებრალებით თქვენ: ძალუმი ხალხი იყავით ერთს დროს; აქედამ გაკვირვებით გიცქერდით, მაგრამ ეხლა ვეღარას ვიტყვი თქვენზედა... შენ გგონია, რომ თვალს არ ვადევნებთ თქვენს ქვეყნებს? აბა, წამო, გაჩვენო ყველა ერთა ნაწარმოები.

წავყე; შემიყვანა ერთს ისეთს უზარ-მაზარს სახლში, რომ თვალი ვერ გა-

და მეუბნევა: მე მყავს კაცი, მოგიძებნის, ოღონდ 20 მანეთი ქრთამი მიეციო. ურიის ვალი მქონდა დიდის სარგებლით აღებული, ავიღე და მივეცი. ფული მთხრობელმა შემიჭამა და, როცა ვუჩივლე, დამემუქრა: შე ბებერო ძაღლო, არ შეგარჩენ მაგ საქმესო და ერთის კვირის უკან, მართლა, ცხენიც მომპარეს. სწორედ ამ ბერიკაცის აზრისა ვარ მეცა. აღარ შეიძლება ამაზე მეტად გახშირება ათას-გვარის ბოქმედებისა და ავ-კაცობისა. დღე გავა განა, რომ სადმე რომელიმე უადამიანობა, უსაქციელობა და ბოროტ-მოქმედება არ მოხდეს ჩვენში? არა გვგონია. კაცის კვლა, დაჩეხა, ყმაწვილ ქალების ტაცება, ათასი წვრილმანი და მსხვილმანი ქურდობა და ავაზნეობა—აი რა გვეყურება მუდამ-დღე და აი რა გაგვხდომია ყველას სალაპარაკოდ. ვიღას ახსოვს, თითო-ოროლა მადლიანის გარდა, ან ღმერთი, ან ნამუსი და ადამიანობა. სწორედ თავი მოგვაბეზრა სიცოცხლემ, მეტადრე იმათ, ვისაც არ შეგვიძლიან ხმალ-ამოღებულნი ვიდგნეთ და ისე ვდარაჯობდეთ ჩვენს სახლ-კარს, ჩვენს სარჩოსაბადებელს. ერთი დრო გვახსოვს, რომ ჩვენმა მაზრამ საკმაოდ მოისვენა ყოველ ავ-კაცობისაგან და ის დრო სწორედ სანატრელად გაგვხდომია. მაშინაც, ეს შვიდიოდ-რვაოდე წელიწადი იქნება მას უკან, ძალიან გაძლიერდა სიავე ჟამისა და მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენს ქვეყანას. ღონემ თავისი გაიტანა, ქვეყანა დამშვიდდა. მაზრის უფროსიც, ბოლგარელ გვარის კაცი—სპოლიტ-ბოგი—ძალიან დაგვეხმარა მაშინ. სასურველია დიდად, რომ ეხლაც მოგვეშველებოდეს აქაური მთავრობაც და მასზედ უმაღლესიც და როგორმე ეცდებოდნენ ქვეყნის გამობრუნებას სამშვიდობო გზაზედ.

*** გორი: ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიამ უნდა გაარჩიოს გორში საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონდუქტორად ნამყოფის დიმიტრი კრუგლოვისა, რომელსაც ქურდობა ჰბრალდება. კრუგლოვმა ვაგონიდგან მოიპარა ეკატერინე ფალიაშვილის ნივთებიო. ამ საქმის გამო სასამართლოში მიწვეულია ექვსი მოწამე.

*** გაზეთ «Кавказъ»-ის სიტყვით, ტფილისის ერთს პანსიონში 6 ყმაწვილი ყელ-ჭირვებით გამხდარა ავად. ამათში ოთხი ყმაწვილი 9 წლისაა თურმე, ერთი 10 წლისა და ერთიც 7-სა. ერთი ავადმყოფთაგანი მშობლებს სახლში წაუყვანიათ მოსარჩენად, დანარჩენთ-კი პანსიონში სწამლობენ.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ ტფილისის მაზრის სოფ. მუხრავანში ხუნაგი გაჩნდაო. ავად გახდა და გარდაიცვალა ორი ყმაწვილი. ადგილობრივმა მთავრობამ გაჰგზავნა მუხრავანში მკურნალი, რომელმაც იმ სახლებში, სადაც ხუნაგიანი ავადმყოფები იყო, გულ-დადებით დეზინფექცია მოახდინა. მას შემდეგ მუხრავანში ხუნაგით ავად აღარავინ გამხდარა.

*** ამ დღეებში დაბრუნდა ტფილისს მკურნალი ივანე ბარამის ძე ბარამიშვილი, რომელიც ხოლერობას კავკასიის სამკურნალო უწყების უფროსმა ბ-ნმა გლავაცკიმ გაჰგზავნა განჯას ხოლერასთან საბრძოლველად. ბ-ნი ბარამიშვილი მთელ ხუთი თთვის განმავლობაში გულ-მოდგინედ შრომობდა განჯის გუბერნიის სხვა-და-სხვა მაზრაში და, როგორც გაზეთი „Кавказъ“-ი სწერს, დიდის მხნეობითა და თავ-განწირვით ებრძოდა ხოლერას.

*** ქუთაისი: გაზ. „Кавказъ“-ს სწერენ სხვათა შორის ქუთაისიდგან: ქართულ წიგნების გამომცემელ საზოგადოების მიერ დაბეჭდილი წიგნები: დუტუ მეგრელის მოთხრობანი და იტალიელის დე-ამიჩის მოთხრობის „აპენინი“ და „ანდის“ თარგმანი ძლიერ იყიდებაო. ამ ჟამად ამხანაგობა ჰბეჭდავს ქართულ ენაზედ ლერმონტოვის პოემას «მწირი», რომელიც ბ-ნ გრ. აბაშიძეს გადმოუთარგმნია.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძათ: ტფილისის მაზრის უფროსს კოლეჟსკი სოვეტნიკს თ. ლევან ჯანდიერს—სტატსკი სოვეტნიკობა.

თიონეთის მაზრის უფროსს, კოლეჟსკი ასესორს თ. გრიგოლ თარხან-მოურავს—ნადვორნი სოვეტნიკობა

და კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარიის მოხელეს კოლეჟსკი რეგისტრატორს გიორგი ბაქრაძეს გუბერნსკი სეკრეტრობა.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნით ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ნიკოლოზ ფიჩხაია.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათი, 7 დეკემბერი

უმთავრესი საგანი კრებისა იყო მოხსენება ქალაქის გამგეობისა იმის შესახებ, რომ თვითმმართველობამ აიშენოს რიგიანად მოწყობილი საყასბო, რისთვისაც დაჰხარჯოს თვრამეტი ათასი თუმანიო. გამგეობისა და შენობათა კომისიის აზრით, უნდა გამოცხადდეს ევროპის და რუსეთის გაზეთებში, რომ ქალაქ ტფილისსა ჰსურს საყასბო, ახალ გეგმაზედ აშენებული და ამ განცხადებით შეატყობინოს ყოველ ინჟენერსა და ტეხნიკს, ვისაც შეუძლიან საყასბოს აშენება, წარმოადგინოს თავისი გეგმა, განსაზღვრული ზემოაღნიშნულის ხარჯით. ეს გეგმა უნდა წარმოადგინოს ქალაქის გამგეობაში, სადაც განხილულ იქნება მცოდნე კაცების მიერ, და ვისი გეგმაც უფრო ჭკუაში დაუჯდება შენობათა კომისიას, იმას მისცემს ჯილდოთ ასორმოც-და-ათ თუმანს, ხოლო ამ წარჩინებულ გეგმაზე ცოტათი მდარე გეგმის შემადგენელს მისცემს ას თუმანს. ამასთანავე გამგეობა საჭიროდ ჰრაცხს გაჰგზავნოს თავისი ინჟენერი სამხრეთ ევროპაში და რუსეთის დიდრონ ქალაქებში, სადაც-კი რიგიანი საყასბოებია, რომ დაჰსინჯოს იგინი და შეისწავლოს საგანი, რათა აშენების დროს ყოველივე ღირსება საყასბოსი დაცულ იქმნას. ეს მოხსენება გამგეობისა განიხილა ჯერ საფინანსო კომისიამ, ვიდრე საბჭოს წარედგინებოდა. საფინანსო კომისიის აზრით, საჭირო არ არის არც განცხადებით გამოწვევა საყასბოს გეგმის შემდგენისა და არც ინჟენერის გაგზავნა საქმის შესასწავლებლად. საკმარისია, მიანდოს საბჭომ ქალაქის გამგეობას, რომ მან მოიწვიოს ტფილისში ცნობილი ინჟენერები, რომელთაც სადმე აუშენებიათ ახალის სისტემის საყასბოები. ვინც მათგანი იკისრებს მოსვლას, გამგეობამ აჩვენოს ადგილი საყასბოსი და შეადგენინოს გეგმა ადგილობრივ. ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია საბჭოში ამ ორგვარმა აზრმა—გამოვაცხადოთ გაზეთებში, თუ მოვიწვიოთ ინჟენერი პირდაპირაო. ერთნი ამბობდნენ, რომ უცხოელი ინჟენერები ვერ შეგვიდგენენ ხარჯთ-აღრიცხვას საყასბოსას, რადგან არ იციან ჩვენებური ფასები არც მასალისა და არც მუშა ხალხისაო, და იმათებურ ფასებზედ თვრამეტ ათას თუმნის მაგიერ დაგვეხარჯება ორმოცი ათასი თუმანიო. მეორენი იძახოდნენ, რომ მცოდნე ინჟენერებსაც გაუჭირდებათ, თუ ადგილობრივ არ მოვიდნენ, რიგიანის გეგმის შედგენაო. ბოლოს ქალაქის ინჟენერმა ენფიაჯიანცმა გამოაცხადა, რომ ეხლა იმოდენა საქმეები აწევს კისერზედ შესახებ ქალაქის მილის წყლისა, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი გაგზავნა ევროპასა და რუსეთში მერმის შემოდგომამდეო. ცხარე ბაასის შემდეგ საბჭომ მიიღო წინადადება გამგეობისა და დაადგინა: ინჟენერს-კი ნუ გავგზავნით და გაზეთებით გამოვიწვიოთ გეგმის შემადგენელნიო, ვადა გეგმათა წარმოდგენისა დაინიშნოს 1 აგვისტოს 1893 წლისა და მივცეთ ნება გამგეობას, რომ, ვიდრე გეგმა მოუვიდოდეს გამგეობას და დაამტკიცებდეს საბჭო, გამგეობამ დაჰხარჯოს ხუთას თუმნამდე ფული აგურის ქარხნის გასამართად და მასალის მოსაპოვებლად. ამ სახით ტფილისს ეღირსება რიგიანი საყასბო და გათავდება მთელის ოცის წლის ბაასი ამ საგნის შესახებ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია წერილი ვეტერანისა. ეს წერილი შეეხება ტფილისის ამბებს. ბ-ნი ვეტერანი სწერს:

> ამ ჟამად ჩვენი ყურადღება მიიქცია ქალაქის სესხის კონვერსიების საქმემ, საოპერეტო არტისტმა ქალმა ენგლუნდმა და ქალაქის საბჭოსა და სამოქალაქო სამკურნალოს საბჭოსავე შორის მომხდარმა შუღლმა და კამათობამ.

ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, რომ 30 ნოემბერს ტფილისის საქალაქო საბჭოს კრებამ განიხილა მოხსენება სამოქალაქო სამკურნალოს დირექტორის ბ-ნ ავთანდილოვისა. ბ-ნმა ავთანდილოვმა განაცხადა, ჩემს თანამდებობას თავს ვანებებო. ასევე მოიქცა სამკურნალოს საბჭოც. რა იყო ამის მიზეზი? მიზეზი მოყვანილია ქალაქის მკურნალებისავე მოხსენებაში.

> ჩვენ გვიკვირსო, სწერენ სამსახურიდგან გადამდგარნი მკურნალები, რატომ ზრდილობისათვის მაინც არ მოგვიწვია ქა-

---

დუწვდინე.

— აი, ეს საქართველოს განყოფილებაო, მითხრა... მიმიშვირა ხელი... მე კინაღამ გავგიჟდი და თავზედ ხელი მოვიჭირე... ღმერთო! ამ მარიხზედ რამ გააჩინა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ჩვენი წიგნები, ჩვენი ნაწარმოები. იქ ესვენა რუსთაველის სურათი და ქვეშ ედო თვისი „ვეფხის ტყაოსანი“, კედლებზედ იყო ჩამოკიდებული გაზეთები; ვნახე ჩვენი „ივერიაც“. კინაღამ წამცდა, ჩემი „ისარი“ კი რატომ არ გამოიწერეთ-მეთქი, მერე შემრცხვა და ვეღარა ვკითხე... ბოლოს მიმითითა ერთს სურათზედ და მითხრა: ამას იცნობო?—ვერა-მეთქი. მაგაზედ გეტყობა უხეირო მამულიშვილობა, რომ თქვენს მტერს ვერ იცნობო; სულ ერთი გადაბიჯება ქვეყანა არა გაქვთ და ერთმანეთისა არა იცით-რაო... მე ძლიერ მეწყინა, რომ ჩემს საყვარელს სამშობლოს „ერთი გადაბიჯება ქვეყანა“ დაარქვა, მაგრამ სიტყვის შებრუნებისა მეშინოდა, ღმერთი არ გაუწყრეს და ამ მარიხიდამ ქვევით არ მისროლოს-მეთქი. გავჩუმდი, რა გამეწყობოდა. მერე შევეკითხე, ვინ არის-მეთქი. თქვენებური იუდააო, მიპასუხა. მე სიცილი ამიტყდა; რას იცინი, შე საწყალოვო, მითხრა უცნობმა და ისეთის ზიზღით გადმომხედა, რომ კინაღამ იქვე სული გამიფრთხა. იმას ვიცინი-მეთქი, გავუბედე, რომ მაგისთანა კაცები აქ რის მაქნისნი არიან-მეთქი; ჩვენში ერთი არ არის და ორი მაგისთანა-მეთქი. ამისთანებს ერიდეთო, დამარიგა უცნობმა. მე რაღას ვიტყოდი; გამიოცდა მხოლოდ, რომ მარიხზედ ჩვენის გულისთვის რა გულმტკივნეულობას იჩენდნენ. „ეს რაა კიდევ. წამო, ერთს დურბინდში გაგახედებო და ყველა ქვეყნებს დაგანახვებო“. ამ დურბინდმა ხომ სულ გამაოცა. ისეთი უზარ-მაზარი იყო, რომ ჩვენი ქვეყანა კარგა ლამაზად მოთავსდება შიგა. ხან ერთს ვასკვლავს შემახედა, ხან მეორესა. ერთს ვასკვლავზედ დავინახე რაღაც ხალხის ყრილობა; ისე ახლო იყო, რო ყველა მოძრაობას ვამჩნევდი.

— ე რა ყრილობაა, ვუთხარ მე.

— ცხვრები შეყრილან და მგელს პატივსა სცემენ, მიპასუხა ჩემმა მასპინძელმა.

— რამ გაამცხვრება, ან მგელი სად არის? ვკითხე მე.

— ვაი რა გულწრფელი კაცი ყოფილხარ, შებრალებით მითხრა. თუმცა აი, ეს ასეთი გროვაა ადამიანებისა, მაგრამ ცხვრის თავები-კი აქვთ, ესე იგი ცხვრის ჭკუა; ხომ მიხვდი? იქითა გროვა მგლების გროვაა და ბატონიც მათი აი ის მგელია. მართლა მგლები და მელები-კი არ გეგონოს—ეგენიც ადამიანები არიან. ეგ ვარსკვლავი უბედურ ვარსკვლავად ითვლება ჩვენში. ბუნებით, მოგეცა ლხენა, მაგას ჩემი სამშობლო მარიხი ვერ სჯობიან, მაგრამ ცხვარი ხალხი ასხია და, ვინც არა მგონია, იმასა სჭამს, მწველელ ფურად გადუქცევიათ თავი. ახლა იცი, რა ამბავია ეგა! დღეს დეპეშები მოგვივიდა, რომ აი ის კაცი მადლობას უხდის ამ ცხვრებს, არიგებს, ცხვრულად მოიქეცითო. ცხვრები თავებს უკანტურებენ, შეჰხარიან და ეუბნებიან, დიდხანს გაცოცხლოს, ჩვენდა საბედნიეროდაო; უშენოდ ერთი დღე ნუ გვაცოცხლოსო.

— შენი ჭირიმე, ერთი ჩემი ქვეყანაც დამანახვე-მეთქი.

— რა დანახვება გინდა, ისეც ხომ გეცოდინებაო... მაგრამ რა გეცოდინება, მადლია, დაგვანახვეო... რომ გადმოვხედე, გული ნაღვლით ამევსო... მშვენიერი ბუნება გადამეჭიმა თვალთა წინაშე და სიცოცხლის ნატამალი-კი არ ეტყობოდა. შემატყო, შევწუხდი... ამ დროს გამიშვირა შორს... შორს... დავასტერდი, სინათლე ამობჟუტავდა... თანდათან განათდა, სინათლე გადიდდა და თითქო სიცოცხლემ გაიღვიძა... მე გული ამითამაშდა, მიამა ჩემის ქვეყნის დანახვა და სიცოცხლის აბჟუტება... ამ დროს იმ ოჯახ-დასაქცევმა მასპინძელმა მხრებში თოკი ამომაბა, როგორც ქანიელაზედ, ისე გამაქან-გამომაქანა და მიანება თოკს თავი; წამოველ პროწიალით, ის იყო სული ხორცს ეყრებოდა, ცის სივრცეში ვლევდი სიცოცხლესა; ჟრუანტელი დამესხა ტანში, თვალები დავხუჭე და მივენდე ჩემს ბედის-წერასა. ვნახოთ, საშინელი ზღართანი მომხვდა. ვაჭყიტე თვალები და, დახე ჩემს შერცხვენასა!—ლუარსაბის საქმე-კი დამმართვიყო.

—

ქართლი: („ისარის“ მოწერილი ამბავი). დიდება ღმერთსა! გათავდა ხოლერა, თუ რაღაც ჯანაბა, გათავდა! გათავდა და მივეცით თავი უზრუნველობას; ავივსენით ისევ ნაგვით, ჩეჩქით, ვაი-ვაგლახით და გაზაფხულისათვის ვემზადებით, რომ ღირსეულად დაუხვდეთ ინდოელ ქალბატონსა. ჩვენმა ქალაქმა, გორმა ხომ სულ ყურები ჩამოყარა; ისე არხეინად ბრძანდება დღესა, თითქო თავის დღეში ბუზი არ აჰფრენიაო. არც გასამტყუნარია, დაღალვის შემდეგ დასვენება უნდა, დასვენების შემდეგ ძილი, და თუ ღრმად დაძინება გსურთ, ნანაც შეიძლება დაიმღერონ; ბალა ეს არის, რომ ნანინას ქალაქის სამმართველოს წევრთაგანნი ვერავინ იტყვის, რადგან დიდის ჯაფის გამო ისე მოიქანცნენ, რომ ადგილიდან ველარ დაძრულან. მაინც ჩვენი გორი ძალიან გამოიცვალა. ჰაი, დედასა, უწინდელო დროვ! ის დრონი, ნაქებნი მარად, „წარვიდნენ, განქრნენ სიზმარებ ჩქარად“. პატარა ქალაქია, მაგრამ ტფილისს მუდამ თავს ახტებოდა. ერთხანად სარტყელში გამოირჭო შენი ტფილისი, ისე გაუხადა საქმე; თფილისს წელიწადში ხუთჯერ ვერ გაიმართებოდა წარმოდგენა, რადგან მაშინდელი დასი ერთობ ბუტიაობდა, გორში-კი ათჯერაც გავმართავდით ხოლმე; გარიბალდის სიკვდილზე ჩვენს დედა-ქალაქში ყურიც არავის გაუბერტყნია, აქ-კი მოციქული მოციქულს ეცა, შეირყა ქვეყანა, რომ თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ქვეყნიერების უდიდესის კაცის სიკვდილის გამო მისის დაობლებულის სახლობისა და სამშობლოსათვის; მოკვდა გამბეტა და კიდევ დაფაცურდა აქაურობა, მაგრამ, მგონია, თანაგრძნობა-კი არ გამოუცხადებიათ. რამე კეთილი საქმე იყო, აქ დაიწყებდნენ. მოშივოდა ვისმეს რუსეთში, აქედამ შველიდნენ. ეს ამბები გასაკიცხად-კი არ მომყავს; სრულიადაც არა. თუმცა ბევრმა გაჰკილა გორელი ახალგაზრდობა ამ ვითომდა-მეტიჩრობისათვის, მაგრამ რა ვქნათ, ენა უძვლოა და ადამიანი ბევრს რასმე ათქმევინებს. მე ეს ამბები იმიტომ მოვიყვანე, რომ ეხლანდელს ჩვენს

ლაქის საბჭომ იმ კრებაზედ, რომელსაც საგნადა ჰქონდა ტფილისის სამკურნალოს საქმეში უკეთესის წეს-რიგის შემოღება. ძლიერა ვსწუხვართ, რომ ქალაქის საბჭოს აზრით, ჩვენ ამ საქმეში ვითომ არაფერი გაგვეგებოდეს... ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს „პროტოკოლი“ წარუდგინოთ ქალაქის საბჭოსა და „პროტოკოლისავე“ პირი გავუგზავნოთ დასაბეჭდად გაზ. „Врачъ“-ს.

ამ საქმის გამო ბ-ნი ვეტერანი სამართლიანად შენიშნავს:

თუ სამოქალაქო მკურნალთ იმედი ჰქონდათ, ქალაქის საბჭოში ჩვენის რჩევით ქვეყანას გავაბედნიერებდითო, რატომ ეს რჩევა წერილით არ აცნობეს საბჭოს, ან გაზეთების შემწეობით არ გამოაცხადეს. აი, თუ გინდ იმავე „Врачъ“-ში დაებეჭდათ, რომელსაც გაუგზავნეს თავიანთი შესანიშნავი პროტოკოლი!

**

გაზეთ „Виленскій Вѣстникъ“-ის 26 ნოემბრის ნომერში შევხვდა შემდეგი შ ე ც დ ო მ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა: წერილში „პანამის საქმე“ შეცდომით დაბეჭდილია: «პანამის არხით უნდა შეერთებულიყო შავი და ხმელთაშუა ზღვები (!); უნდა იყოს: „ატლანტისა და დიდი ოკეანეო“.

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** სხვა დამორჩილებულ ერთა გარდა ავსტრია ებრაელთაცა მტრობს და მტრობს იქამდის, რომ საზოგადოებაც-კი არსებობს ებრაელთა ქომაგად და მფარველად. რამდენად საფუძვლიანია ეს მტრობა ებრაელთა მიმართ, ამას ნუ გამოვუდგებით, ოღონდ ის-კი გავიხსენოთ, რომ ეს მტრობა ყოველთვის და ყველა ერში არსებობდა—(ქართველთა გარდა, რომელთ ისტორია არც ერთს მაგალითს არ წარმოადგენს, რომ დევნა რამე გაეწიოთ ჩვენს ქვეყანაში შემოკედლებულ აბრაამის შვილთათვის)—ამ უკანასკნელ დროს გერმანიაში დიდის ძლიერებით განახლდა, ავსტრიაში გადავიდა და ახლა თვით საფრანგეთშიც-კი გაისმის ჟურნალ-გაზეთებში, ჩვენი დამღუპველები ებრაელები არიანო. ავსტრიაში ხომ ამ სამშობლოს მოკლებულ და უნიადაგო ტომს ისე შეუძულებია ყველასთვის თავი, რომ ამას წინად რეიხსრატის თავმჯდომარეს თხოვნა მიართვეს, თუ შეიძლება ებრაელთა მოწინააღმდეგე ორატორები გააფრთხილეთ, ცოტა ზრდილობიანად მოექცნენ ებრაელთ და თავიანთი მათდა სიძულვილი სიფრთხილით და ზომიერად გამოიჩინონო. ამ თხოვნამ ერთი აყალ-მაყალი დაჰბადა პალატაში: როგორ თუ ებრაელთა გამო გვაფრთხილებენ და ლაპარაკის თავისუფლება უნდათ შეგვიზღუდონო. ან რა-ღა სიფრთხილით მოიხსენოს ორატორმა ეს ნამდვილნი ხელმწიფენი აწინდელის ცხოვრებისა? რა-ღა თავაზით და კადნიერებით მოექცეს ებრაელთ, როდესაც საპოლიტიკო უბედურების მიზეზად ავსტრიელი პატრიოტი სხვა-და-სხვა ერთა მოურიგებლობას ჰხედავს და საეკონომიო უბედურებისად—მიაჩნია მხოლოდ და მხოლოდ ებრაელნი, რომელთათვის ფული ღმერთია და ღმერთისთვის განა ადამიანი დაიშურებს რასმეს? სიცოცხლის შეწირვა, აბრაამისა და ისააკისა არ იყოს, საკმარისი არ არის, საქმე ზნეობრივი მსხვერპლია. განა ებრაელს-კი არა აქვს პატიოსნება, დიდსულოვანება, მოძმის სიყვარული და სხ. და სხ., ხოლო ყველა ეს სათნო თვისებანი ადამიანისა იმას თავის ღმერთისთვის შეუწირავს და ამაზედ მეტს განა მსხვერპლს კიდევ წარმოიდგენს ვინმე? ხალხი ისრაელთა ვალშია იქ და მესამე და მეოთხე თაობაც ვერ მოახერხებს დღეს აღებულ ვალის გადახდას. სახელმწიფოა კიდევ და ებრაელ ბანკირთა ხელშია და, რაღა საკვირველია, რომ ავსტრიელი ამ გაჭირვებულ დროს ებრაელს თავის სულთამხუთავად სთვლიდეს და თვით პალატაშიც-კი უკადრისად იხსენიებდეს.

**გერმანია.** სწორედ იმ დროს, როცა ერთი სახელმწიფო ჩვენ თვალწინ დღითი-დღე უკან-უკან მიდის და ლამის დაირღვეს, დაიშალოს კიდეც, მეორე, მისივე მონათესავე და მისისავე ენით მოლაპარაკე ერი დღითი-დღე მეტს ერთობას იჩენს და სხვა და სხვა წვრილმან სამეფოებსა და სამთავროებს ერთისა და იმავე სკიპტრას ქვეშ აერთებს. ბავარიის სამეფოსა და პრუსსიას შორის, 1870 წელს დადებულ ხელშეკრულობის ძალით, სამეფოს თავის წარმომადგენელი ჰყავს ევროპის სხვა-და-სხვა დედა ქალაქებში. ახლა, როგორც იუწყებიან, ბავარიას უნდა თავისის ინტერესების დაცვა პრუსსიის ელჩს მიანდოს და თავისი წარმომადგენელი აღარსად იყოლიოს. ეს პირველი-კი არა, ერთი უკანასკნელთაგანი ნაბიჯია ბავარიის სამეფოს არსებობისა და მისისა სრულის შეერთებს და გათანასწორებისა პრუსსიასთან. რაღა თქმა უნდა ამას შემდეგ, რომ ავსტრიას გაცალ-ცალკევებულ ერთა შორის ვეღარც ავსტრიელი გერმანელები იხეირებენ და რომ ისინიც იმავე პრუსსიას გერმანელთა შეუერთდებიან, რათა მით დამყარდეს უფრო ვრცელი და გაერთიანებული ფატერლანდი.

## წვრილი ამბავი

ლონდონში მალე დაასრულებენ ერთის ვეება კოშკის აშენებას; ეს კოშკი ეიფელის კოშკზედ 36 მეტრით მაღალი იქნება. საძირკველი ამ კოშკისა 18,5 მეტრის სიღრმეზეა ჩაყრილი; კედლები რკინისა აქვს, სიგანით 73 მეტრია და სიმაღლით—335,5 მეტრი იქნება.

— საფრანგეთის სამხედრო კაცები ბევრს ლაპარაკობენ ახლა იმის შესახებ, რომ ბრილიანტის ელვარება გამოვიყენოთ სამხედრო საქმისათვისაო. ბრილიანტი ისე ანათებს ღამეო, ამბობენ ეს აფიცრები, რომ თუ თოფას ტუჩს გაუკეთო, მტრის ნიშანში ამოღება ძლიერ ადვილი იქნებაო.

— ამას წინად საფრანგეთში გარდაიცვალა ჩინურ ენის კარგი მცოდნე, მარკიზი დე-რვედე-სენდენი. ამ კაცის შესახებ ჟიულ სიმონი სწერს, მხკათა შორის: პატივცემულ მარკიზს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სახელი ჰქონდა ჩინურ ენას ცოდნისა, ჩინეთის დიპლომატებთან საუბარი არ შეეძლო, ახლანდელ ჩინელების ენა-კი არ იცოდა, რამედ ძველი, ექვს-ათასის წლის წინად ხმარებული, რომელიც ახლანდელს ჩინელებს სრულებით არ ესმოდათო. ჟიულ სიმონი ამბობს, რომ სახელ განთქმულმა სინოლოგმა-მარკიზ დე-რვე-დესენდინმა ერთად-ერთმა იცოდა ამ ჟამად ისეთი ენა, რომელიც იმის მეტს არავის ესმოდაო.

— ამ საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის შემდეგ საფრანგეთის იმპერატორად ლუდოვიკო მე-XVIII-ე შეიქნა. ამან „College Francais“-ის ჩინურ ენის პროფესორად აბელ რემიუზა დანიშნა. მაგრამ, როცა რაღაც საქმის გამო ჩინეთმა საფრანგეთში დესპანი გამოგზავნა, ერთად-ერთ ჩინურ ენის მცოდნედ ცნობილმა პროფესორმა თავი მოიავადმყოფა და, როცა ჩინეთის დესპანი წავიდა, მაშინ მორჩა. როცა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ იმპერატორს ახალი წელი მიულოცეს, რემიუზაც იმათში ერია. იმპერატორი მიუბრუნდა და უთხრა: ბ-ნო აბელ რემიუზა, თქვენ რო პროფესორად დაგნიშნეთ, მე კარგად ვიცოდი თქვენ ჩინური ენა არ იცოდით, მაგრამ ვფიქრობდი, რომ შეისწავლიდითო. ამას შემდეგ რემიუზას მაგიერად ჩინურ ენის პროფესორად დანიშნულ იქმნა ჟიულიენი, რომელმაც მართლა იცოდა ჩინური ენა. ერთხელ, როცა ჩინურ ენის შესახებ პირველ ლექციის წასაკითხავად წავიდა „Colleg de Francais“-ში, დიდის წვიმისა გამო ერთი მსურველიც არ დაესწრო ამ ლექციას. ჟიულიენმა მაინც გული არ გაიტეხა და პროფესორის მანტიით შემოსილი, კედლებს უკითხავდა ლექციას... მაგრამ არა, ერთი კაცი უგდებდა ყურს ამ ლექციას. ეს კაცი გახლდათ მეეტლე, რომელიც პროფესორს ელოდდა, როდის გაათავებს ამ ლექციას, რომ შინ წავიყვანოვო.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე 247 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი „ქართული თეატრი“, „ზენეფესი აზაშაძისა“. ეს იყო მოწერილი ინიციალებით ა. ფ., რომელნიც შეადგენენ ჩემა სახელის და გვარის ინიციალებს და რომელთაც ხშირად ვაწერ ხოლმე ჩემს ნაწერებს. თითქმის ყველა მკითხველს ამ ინიციალების მოწყალებით ჩემ წერილად მიუღიათ ის წერილი, რომელიც მე სრულიად არ მეკუთვნის. და რომელსაც სიამოვნებით მოვაწერდი ხელს, მაგრამ მაინც, რომ ამგვარი შეცდომა არა ხდებოდეს მკითხველს საზოგადოებაში, ურიგო არ იქნება, რომ მწერლები ერიდებოდნენ იმ ფსევდონიმებსა და ინიციალების ხმარებას, რომელნიც ხმარებულან იმაიზედ წინათ სხვებისაგან.

ანტონ ფურცელაძე

## სასარგებლო ცნობა

ზოგჯერ გაუფრთხილებლობით ანთებული ლამპარი ძირსვარდება, იატაკს ცეცხლი ედება და ხშირად მთელი სახლიც იწვის. ამ გვარ შემთხვევის დროს ცეცხლის გასაქრობად ძლიერ გამოსადეგია მშრალი ქვიშა: თუ იატაკზე ან ხალიჩაზე ანთებული ლამპა დაეცა, და ნავთს ცეცხლი წაეკიდა, ქვიშა დააყარეთ და იმ წამსვე ჩაქრება.

კარგია ამიტომ ოთახში კასრით ან სხვა რაიმე ჭურჭლით მშრალი ქვიშა იქონიოთ, ეს არც ძნელი მოსახერხებელია და ცეცხლ წაკიდებულ ნავთს ადვილად ჩააქრობთ.

---

ყოფას შევადარო. ეხლა არავითარი სიცოცხლე არ არის აქაურს ახალგაზდობაში, ყველა თავისათვის ცხოვრებს, ყველა თავის ჯურღმულოში შემძვრალა, და ძილს მისცემიან. იქნება ადრინდელი ამბები მეტიჩარობაც იყო, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი მაინც ეტყობოდა. ეხლა? ამაზედ ლაპარაკიც აღარა ღირს...

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართლი ძალიან უილბლო ქვეყანაა!!. ბატონო, ხოლერობის დროს, ღმერთმანი, თავი არავის დაუზოგნია: არც მაზრის უფროსს, არც თავად-აზნაურთა წინამძღოლს, არც სანიტარებს; მაგრამ გავარდა ხმა, რომ ყველა გულგრილობსო. ვნახოთ, მორბიან სხვა სანიტარები ჩვენს დასახსნელად მაშინ, როდესაც სხვაგან უფრო სცელავდა ხოლერა ხალხს, ვინემ ჩვენში. ეს არ გვაკმარეს და გაზეთებმა შეთხუზეს: გორის მაზრაში ავაზაკები გამოჩენილან და ბოქაული ლოლაძე გაგზავნეს მათ დასაჭერადაო. განა არ იცით, ვინ შეთხუზავდა ამ ამბებსა. „არა-მკითხე“ ვაჟბატონმა მოჰკრა სადღაც ყური, სწორე ვერა გაიგო-რა და უცნაურს ამბებს თავი-კი ამოაყოფინა გაზეთში. რის ავაზაკები, რის ყაჩაღები! წელს გაგონითაც არ გაგვიგონია არა თუ ყაჩაღები, უბრალო ქურდებიც-კი; მისთანა მშვიდობიანად თავის დღეში არა ყოფილა ჩვენი მაზრა. ახლა იტყვით, მაშ ლოლაძე რად გაგზავნეს გორის მაზრაშიო? ორს თავადს მამულის თაობაზედ უსიამოვნობა მოუვიდათ, თითქმის კინაღამ სისხლი დაიღვარა, და ლოლაძე ამათ შორის საქმის გასათავებლად, თუ გამოსაძიებლად, გამოგზავნეს. ეს იყო. მახლას!!. რას იზავ, მეჭორე იმის მეჭორეა, რომ ჭორებით ართოს ხალხი...

გწერთ თქვენი გუნცაძე.

—

შორაპან-ზესტაფონ-ყვირილა: (მოწერილი ამბავი). ჩვენს მაზრას სამ-ეტაჟიანი სახელი ჰქვიან და ღირსიც არის. ერთი ბეწვა ამბებს ისე გაადიდებენ, ისე გაჰბერავენ, რომ გაოცდება კაცი; ჩვენებური კლიაუზნიკობა ხომ კონდაკშია ჩაწერილი; ცილის წამება, მაბეზღრობა, ჭორები ხომ იმდენია, რომ ერთს წუთს რავდენსამე ტომარას აჰკრებს კაცი. ადრევ,—რასაკვირველია, ყველას გეხსომებათ ეს ამბავი,—„ივერიაში“ იყო დაბეჭდილი, რომ მარიობა დღეს სოფლად ერთმა ახალგაზდა მღვდელმა რუსულად სწირაო. დაჰკრეს, ბატონო, ბუკი და ნაღარა და ქვეყანას შეატყობინეს ეს ამბავი. ქუდი დავდოთ და სამართალი ისე გადავჭრათო, ნათქვამია. ახლა რა არის, რომ სწირა? ქვეყნის შექმნიდამ აქამომდე სამეგრელოში მეგრულად არ უდიდებიათ ღმერთი ეკლესიებში. ჩამომავლობითაც, ენითაც, სარწმუნოებითაც, სახის მეტყველებითაც მეგრელები ქართველთა ტომისანი არიან, მაგრამ დღეს ტვინი გადაუბრუნდათ და მოინდომეს ეშმაკობა. თუ-კი იმათ ესა ჰქმნეს, ვითომ ჩვენ რაღა ვართ?! აბა, რა არის აქ გასაკვირველი! მამას შვილმა კურსი გაუთავა, აგერ მღვდლად უკურთხეს; ამოდენა ხარჯი მოუვიდა მისის აღზრდით და მისის შეძენილის სწავლის ნაყოფით არ დასტკბეს?! საკვირველია, ღმერთმანი! კაცს სწავლა შეუძენია, სხვა-და-სხვა ენებზედ სხაპასხუპით ლაპარაკობს და ჩასცივებიან: ნუ, ნუ მოიხმარებ შენს სწავლასაო!? გეხუმრებიან, ვინც რა იცით, მოიხმარეთ, დრო ამას მოითხოვს... მართალი, ტვინის გადაბრუნებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი... მეც ვიცნობდი ერთს ამისთანა ტვინ-გადაბრუნებულს... ადრევ იგი ტვინ-გადაბრუნებული, რაღაც სარფის გამო ასე ბჭობდა უფროსის წინაშე: მე თქვენის ერთგულობისათვის მდევნიან ჩემი თანამემამულენი, მდევნიან უფრო იმისათვის, რომ მე უცხოელს უფრო ვეკუთვნიო, ეგონა, გამოდნებ რამეო, მაგრამ მოსტყუვდა. ამ ჟამად იგივ ადამიანი სულ სხვა ნაირად მღერის; თუ დიდხანს გასტანა ამ მღერამ, ბევრს სარგებლობას გვექადის, მაგრამ გვეშინის, ტვინი არ გადმოუბრუნდეს; ღონეს-კი ვღონობთ, ამ კალაპოტში დარჩეს ეს ნიჭერი ადამიანი.

ნ. იმე...

—

### დამაკვირდი-გამოცანა

ერთი ვინმე კუკნა კაცი
მელასავით მსუნაგია,
დაძრწის ამ დღეს, დალაწლაწებს,
რომ წააწყდეს, ვინც არგია;
თუმც ხანშია, მაგრამა
კლანჭი აქვს ისევ მჭრელიო;
ვინც ხელში ჩაუვარდება
აღარა აქვს საშველიო.

—

კუკნაა და თან კოხტაობს
გაპარსული, გრუზა არის,
შევლოხაობს, სულსა ჰყიდის,
მარტო ფულის მუშა არის;
იქ შეძვრება, მეტიჩარობს,
სად მის ადგილი არ არის.
აბა მიხვდით: ვინ კაცია?
მხდალია, თუ მამაცია?

—

წარბ-შერჭმული, ულვაშს იგრეხს,
თავს შეიქცევს იგი მითა;
წვერიცა აქვს, ბაკებიცა:
პტყელი, ჯორის ნალივითა;
ღმერთიცა სწამს და ლოცულობს,
ანთებს წყვილ-წყვილ სანთელსაცა;
ორ გროშად-კი სულ გაჰყიდის
ანგელოზებს და ღმერთსაცა.

ძალად მაცხონე პოეტი

### ახალი ამბები

— ჩვენს რედაქციას მოუვიდა ახლად დაბეჭდილი წიგნაკი: „დედა-ენა უდედა-ენოდ“. ავტორი ამტკიცებს, რომ უდედა-ენოდ შეიძლება ყოველი უცხო ენის შესწავლა და სულ მეტია რაღაც ახალ-ახალი სახელმძღვანელოები დედა-ენის შესასწავლადაო!!

— გორიდამ გვატყობინებენ, რომ იქ ერთს ფულიანს კაცს განზრახვა აქვს კომერციულის სკოლის გამართვისა; ამ სკოლაში განსაკუთრებით იმას თურმე შესწავლიან, თუ ერთი თუმნიდამ ერთ წელიწადს როგორ გახდება ასი თუმანი. ამას ჰქვიან იმ კაცის ენაზედ „კურსი ფულის ბარტყობისა“. მეორე ნაწილს შეადგენს, თუ როგორ უნდა წაუჭიროს ყელში თოკი მოვალეს, რომ ნაბარტყი ფული უსათუოდ გადაახდევინოს. ამ ნაწილს ჰქვიან თურმე „კურსი ნაბარტყის ფულის გადახდევინებისა“. სწავლა თავდება სულ სამს დღეში. მსურველნი იმდენი აღმოჩენილან, რომ სკოლას ადგილი აღარა აქვსო.

### განცხადებანი.

კარგად დახელოვნებული მასწავლებელი იყვანს შეგირდებს ლაქიაობის ხელობის შესასწავლად. ადრესი ამ ყმაწვილის კაცისა: საკუთარი სახლი, № 13, ქალაქი ტალახიანი.

(11—2—9)

რედაქტორ-გამომცემელი „ისრისა“ ს. ფრონელი.

# დეპეშა

7 დეკემბერი

**პეტერბურგი.** „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ ქირით მიცემულ სახლებზედ გარდასახადის შემოღების პროექტი სახელმწიფო საბჭომ პირველ განხილვის შემდეგ უკან დაუბრუნა კომისიას შესავსებადაო.

**ბერლინი.** „Koelnische Zeitung“-ი ამტკიცებს, რომ გერმანიაში ეგრედ წოდებული ნაციონალური დასი დაარსდა, რომელსაც საგნად ექმნება იმპერატორს წინააღმდეგობა გაუწიოს. დასს იმედი აქვს, დასავლეთ და სამხრეთ გერმანიაში ძლიერ ბევრი მომხრე აღმოგვიჩნდებაო.

**პარიჟი.** ალფონს როტშილდს ფერსიეში ნადირობის დროს მარჯვენა თვალი დაუშავდა; მკურნალების აზრით, თვალი საშიშად არა აქვს დაშავებული.

**სოფია.** ოფიციალურ ცნობით პრინც ფერდინანდის ქორწინების შესახებ გავრცელებული ხმები ტყუილი გამოდგა.

პეტერბურგის ბირჟა, 1 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,99 | 8,02 | —,, |
| ტრამოკნის კუპონები . | 160 | 160¾ | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | 242 |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | —,, | —,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102¼ | —,, | —,, |
| 5%. . . . . . | 100 | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | —,, | —,, |
| 5%. . . . . . | 100 | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98½ | —,, | —,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

### ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. „ | 4 „ |
| „ „ 2 „ „ „ | 3½ |
| „ „ 3 „ „ „ | 3 „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ | 5 კ. |
| „ „ „ 2 „ | 4 „ |
| „ „ „ 3 „ | 3½ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | |
|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | 7 კ. |
| მე-2 „ „ „ „ | 5 „ |
| მე-3 „ „ „ „ | 4 „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 7 კ. |
| სუკი — — — | 12 „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 „ |

## განცხადებანი




(22—2)

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მთავრობის ნებართვით გავხსენით ქ. სიღნაღში, იაკობ ფირალოვის სახლებში სამკითხველო ყველა ნაირ ქართულ-რუსულ და აგრეთვე სომხურ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა ა. მაჭავარიანისა და ამხ.

ფასები შემდეგია:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ერთის წლით . . . . . | 4 | „ |
| ნახევარის წლით . . . | 2 | 50 |
| სამის თთვით . . . . . | 1 | 30 |
| ერთის თთვით. . . . . | „ | 50 |
| ერთის კვირით . . . . | „ | 15 |
| სამკითხველოში კითხვა | „ | 2 |

მსურველთ დანარჩენი პირობანი შეუძლიანთ სამკითხველოშივე შეიტყონ.

ა. მაჭავარიანი

(5—4)

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში და ამხანაგობის აგენტებთან იყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

თხზულებანი ილ. ჭავჭავაძისა.

| | ფასი |
|---|---|
| I ტ. ლექსები და პოემები, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი . . . | 1 მ. 20 კ. |
| იგივე ყდით და კარგ ქაღალდზედ . . . | 2 მ. 50. |
| II ტ. მოთხრობები . | 1 მ. „ |
| იგივე კარგ ქაღალდზედ და ყდით . . . | 2 მ. 50. |
| IV ტ. „იზა“ რომანი ბუვიესი, თარგმანი . . | 1 მ. 60. |
| იგივე, კარგ ქაღალდზედ | 2 მ. 50. |

თხზულებანი ყაზბეგისა:

| | |
|---|---|
| I, II, III და IV ტ. ამ ტომებში მოთავსებულია სხვათა შორის: ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი, ელისო, ხევის ბერი, გოჩა და სხვ. . | 4 მ. 80. |
| ცალკე თითო ტომი . | 1 მ. 20. |
| იგივე, კარგ ქაღალდზედ და ყდით, ოთხი ტომი . | 9 მ. 50. |
| ცალკე თითო ტომი . | 2 მ. 50. |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა, ავტორის სურათით . „ | 80. |
| იგივე ლამაზის ყდით . | 1 მ. 25. |
| „ბნელო“ მოთხრობა მელანიასი (ფსევდონიმი) . „ | 40. |
| იგივე, ლამაზის ყდით . „ | 90. |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . „ | 20. |
| ხალხური ზღაპრები წ. I „ | 30. |
| იგივე, ლამაზი ყდით . „ | 75. |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—პოემა ბაჩანასი . „ | 15. |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა . . . | 1 მ. 20. |
| იგივე ყდით. . . | 1 მ. 40. |
| „ჩანგი“ . . . | 1 მ. „ |
| კედლის კალენდარი 1893-წლ. . . . . „ | 40. |

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ.

## „ივერია“

1893 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50,, | 5 „ . . . . | 5 „ 50,, |
| 10 „ . . . . | 8 „ 75,, | 4 „ . . . . | 4 „ 75,, |
| 9 „ . . . . | 8 „ —,, | 3 „ . . . . | 3 „ 50,, |
| 8 „ . . . . | 7 „ 25,, | 2 „ . . . . | 2 „ 75,, |
| 7 „ . . . . | 6 „ 50,, | 1 „ . . . . | 1 „ 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.



**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკიორი ბენედიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპირატესი საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand ainé

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

იყიდება საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—23) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.